საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/97

ქ. ბათუმი 12 აგვისტო, 2020 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,პრაქტიკოსი ექთანი" (2017 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის შექმნისა და პრაქტიკის დაცვის ადგილისა და დროის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/12 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ" 2019 წლის 9 სექტემბრის №01-02/139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 06 ივლისის N 01-02/74 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2020 წლის 11 აგვისტოს N 679652 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,პრაქტიკოსი ექთანი" (2017 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ **საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) გულადი ფარტენაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის თავჯდომარე;
   ბ) ლელა ვერძაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი, კომისიის წევრი, მდივანი;
   გ) თამარ მხატვარი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;
   დ) ინგა კილტავა - ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს მთავარი მედდა, დამსაქმებელი.

2. განისაზღვროს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,პრაქტიკოს ექთნის" პროფესიულ სტუდენტთა დაცვის ვადები და ადგილმდებარეობა:

2020 წლის 18 აგვისტო, 15.00 საათზე, ქ. ბათუმში, ნინოშვილის/რუსთაველის 32/35, 1 კორპუსი, III სართული, ოთახი № 55.

3.პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადების შესახებ ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება;

ბ) წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადების შესახებ ბსუ-ს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, კომისიის წევრებისა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, ელექტრონული ფოსტის შესაბამის მისამართებზე შეტყობინების გაგზავნით.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, შიდა აუდიტის სამსახურს).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**